ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 7 აგვისტოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 8 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 7 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 14

დ. ხარაგაული

7 აგვისტო 2025 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომას თავმჯდომარეობდა - საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

პაატა გოგოლაძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ამირან ოქრომჭედლიძე - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

შალვა ლურსმანაშვილი - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე,

პავლე კიკალიშვილი - საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

ბესიკ კვირიკაშვილი - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

შმაგი ხიჯაკაძე - საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატი:

ზაალ ორბელაძე - საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

ივანე ჭიპაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენელი:

ანა ნიქაბაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა. (ა). ი. პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"-ს სპეციალისტი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა.

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 8 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრის უზრუნველყოფისათვის შეხვედრის ადგილების გამოყოფის შესახებ.
მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული ,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის ორგანოების საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ.
მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული ,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 8 წევრი:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული ,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრის უზრუნველყოფისათვის შეხვედრის ადგილების გამოყოფის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ - მანანა ბარბაქაძემ მიმართა საკითხის მომხსენებელს, რომ აუცილებელია კომისიის სხდომაზე გაირკვეს თუ რა მდგომარეობაშია განკარგულების პროექტის დანართში მითითებული შენობა-ნაგებობები და ხომ არ არსებობს აღნიშნულ შენობებში საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრის უზრუნველყოფისათვის რაიმე დამაბრკოლებელი გარემოებები. აღნიშნული საკითხის გარკვევას ასევე მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე ბიუროს სხვა წევრებმაც. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით სხვა აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აღნიშნული საკითხის 2025 წლის 8 აგვისტოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 8 წევრი:

მომხრე-8,

წინააღმდეგი-0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2025 წლის 8 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული ,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის ორგანოების საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

სხდომის თავმჯდომარემ - მანანა ბარბაქაძემ მიმართა საკითხის მომხსენებელს, რომ აუცილებელია კომისიის სხდომაზე გაირკვეს, თუ რამდენად შესაძლებელია განკარგულების პროექტის დანართში მითითებულ ობიექტებზე სააგიტაციო მასალების განთავსება და ამ მხრივ, ხომ არ არსებობს რაიმე დამაბრკოლებელი გარემოებები. აღნიშნული საკითხის გარკვევას ასევე მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე ბიუროს სხვა წევრებმაც. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით სხვა აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება აღნიშნული საკითხის 2025 წლის 8 აგვისტოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 8 წევრი:

მომხრე-8,

წინააღმდეგი-0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2025 წლის 8 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს საკრებულოს 2025 წლის 8 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს რიგგარეშე სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 08 აგვისტოს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტების ამომრჩევლებთან შეხვედრის უზრუნველყოფისათვის შეხვედრის ადგილების გამოყოფის შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული ,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის ორგანოების საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული ,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე